საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000018966206220

№ 02-133-R 28 / ივლისი / 2020 წ.

ბრძანება

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდების შესახებ

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღება <u>გამოცხადდეს</u> სამაგისტრო პროგრამებზე: „კომპოზიცია“, „მუსიკისმცოდნეობა“ (სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია) და „მუსიკის ტექნოლოგია“;
2. <u>განისაზღვროს</u> მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები:
   ა) დოკუმენტების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე registration@tsc.edu.ge 2020 წლის 26 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით, თბილისის დროით 19:00 საათამდე;
   ბ) მითითებულ პერიოდში დარეგისტრირებულთა დოკუმენტების ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი დრო 2020 წლის 31 აგვისტო, თბილისის დროით 19:00 საათამდე.
3. აბიტურიენტებს დასარეგისტრირებლად განესაზღვროთ შემდეგი **დოკუმენტაცია:**
   ა) შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა (იხ. **ფორმა**);
   ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
   გ) ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG);
   დ) გამოცდების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი **<u>საბანკო ქვითრის</u>** ასლი.
   ე) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის / უმაღლესი აკადემიური განათლების დამადასტურებელი დიპლომის ელ. ასლი (საბუთების შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ ბაკალავრებს, ვისაც გავლილი აქვს სამუსიკო-საგანმანათლებლო პროგრამა).
   დიპლომის ასლი არ მოეთხოვება იმ აპლიკანტებს, რომლებმაც სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2019-2020 სასწ. წელს.
   ვ) გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათის ასლი (მხოლოდ კომპოზიციისა და მუსიკისმცოდნეობის პროგრამებზე);
   ზ) მისაღები მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი ნაწარმოებების ნუსხა, სანოტო ნიმუშების და ჩანაწერების ელ.ვერსიები (კომპოზიციის პროგრამაზე);
   თ) სამაგისტრო პროექტი ელექტრონული ფორმით (CD/DVD): ფოლდერი, რომელიც შეიცავს სამაგისტრო პროექტის წერილობით დახასიათებას [PDF], აუდიო, ვიდეო ან სხვა მედია-დანართით (მუსიკის ტექნოლოგიის პროგრამაზე);
   ი) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად) (მუსიკის ტექნოლოგიის პროგრამაზე);
5. შემოქმედებითი ტურების განრიგი გამოცხადდეს 2020 წლის 1 სექტემბერს.

6. შემოქმედებითი ტურების ჩატარდეს 2-3 სექტემბერს.
7. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს საგამოცდო ცენტრის წევრებს.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება გამოქვეყნდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ნანა შარიქაძე